საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ 2025 წლის ანგარიში

ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარედგინა 632 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით ბიუროსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა 632 შემთხვევაში. 3 განცხადება განხილვის პროცესშია და პასუხი გაიგზავნება კანონით განსაზღვრულ ვადაში. საჯარო ინფორმაციის გაცემა ხდებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ბიუროს იურიდიული სამმართველოს უფროსის იმედა გუგუშვილის მიერ და შემდგომ ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მარიამ შაიშმელაშვილის მიერ.
ბიურო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ბიუროს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ბიურო ხელმძღვანელობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წელს მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით მოსაკრებლის ჯამმა საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგინა 168 ლარი. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის (ბიურო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰქონია.